# დროება

№ 01 ხუთშაბათი, 14 იანვარი 1910 წ. № 10

ყოველდღიური სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; ... [illegible] ... კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

... [illegible] ... დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წლიწადი მესამე **დროება** წლიწადი მესამე

ყოველდღიური სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მიიღება 1910 წლის ხელის მოწერა ... [illegible]

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წლისაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებითა: წლით ... [illegible]

| 12 თვ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. — | 7. 50 | 6. 90 | 6. 20 | 5. 50 | 4. 80 | 4. — | 3. 20 | 2. 40 | 1. 60 | —. 80 |
| 12. — | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50 | 3. 50 | 2. 50 | 1. 25 |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლის ხელის მომწერნი მიიღებენ

## კედლის კალენდარი 1910 წლის

... [illegible] ...

### ხელის მოწერის პირობები:

... [illegible] ... ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А“, И. С. Агладзе.


დღეს, ხუთშაბათს, 14 იანვარს, შუადღის 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ დაუვიწყარ

## ნინო ივანეს ასულის მირზაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს მწუხარებით მამა მისი **ივანე** და და **ოლგა მირზაშვილები**. (1—ფ.—1)

კვირას, 17 იანვარს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

## სიმონ ნიკოლოზის ძის აბდუშელიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მიცვალებულის ქვრივი, ძმა, ძმის შვილები და რძლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (კვ 2—1)

**კნ. მარიამ** (ციცინო) **ჩიქოვანის ასული დადეშკელიანისა, ლევან და მურზახან დადეშკელიანები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლისა, ხოლო უკანასკნელნი საყვარელ მამის

## თავ. ბექირბეი ჯანსუხის ძის დადეშკელიანისას

დაკრძალვა დანიშნულია 16 იანვრისთვის სოფ. ცხუმარში (ზემო სვანეთი). (3—ნ.—2)

დედა **ელისაბედ იაკობის ასული ელიოზიშვილისა,** დეიდა **ანნა დავითის ასული ნიკოლაევისა,** მამიდაშვილი **დავით ნიკოლოზის ძე შაბურიშვილი მეუღლითურთ** და ნათლული **ალექსანდრე ივანეს ძე ბუჭიევი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას

## კაპიტან დავით ლუკას ძე ელიოზიშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, საკუთარ სახლში, მეჟევოის ქ., № 29. გამოსვენება კვირას, 17 იანვარს, ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც გადაიხდება წირვა. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—118—1)

**ეკატერინე ოტიას ასული, მაქსიმე ალექსანდრეს ძე, ანტონ მაქსიმეს ძე ქორჩაკიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 12 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე გარდაცვალებას საყვარელ მეუღლის, მამის და ძმის

## ალექსანდრე მაქსიმეს ძის ქორჩაკიძისას.

პანაშვიდები საღამოს 6 ს. ცხედრის გასვენება ქუთაისიდან ჰალადიდში პარასკევს, 15 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა ჰალადიდში შაბათს, 16 იანვარს, ნაშუადღევის 4 ს. (1—1)

კვირას, 17 იანვარს, დღის 11 საათისთვის, ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი ცხოვრებისაგან უდროოთ მოწყვეტილ

## ილარიონ (ილიუშა) ალექსანდრეს ძის საბახტარიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დამწუხრებული და მგლოვიარე მშობლები განსვენებულისა **ლისა** და **ალექსანდრე,** ძმები **გიორგი** და **მიშა.** (1—ნ.—1)

წარმოდგენა № 27. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 27.

**კვირას, 17 იანვარს 1910 წელს.**

**ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**უილიამ შექსპირი**

## ჰამლეტ

ტრაგედია 5 მოქმედებად თარ. ივ. მაჩაბლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, სვიმონიძე, ი. ივანიძე, მგალობლიშვილი, მურვანიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ჟივიძე, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე. გალერეია 40 კ.-დან 25 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „სამეგრელოს მთავარი ლევან“, „სად მიხვალ“.

რეჟისორი **ვლ. ა.-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

## ქალ. ბათომში

**ხუთშაბათს, 14 იანვარს, 1910 წ., საზოგადო საკრებულო დარბაზში გაიმართება მე-17 ქართული**

## საღამო

ქართულ სცენის დამსახურებული არტისტ ქალის

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით**

ბათომის ქართულ სკოლის სასარგებლოდ. საღამოს პროგრამა:

I

1) „ხ ა ნ უ მ ა“, მეორე მოქ., კომ. ა. ცაგარლისა, ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

2) **ქართული ხალხური** [illegible]

II

„ო რ ი ო ბ ო ლ ი“, მეხუთე მოქმედება, ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

III

1) „მ ი ს ა ლ მ ე ბ ა“ ქართული სცენის მსახიობს ნ. მ. გაბუნია-ცაგარელს.

2) **„მრავალ ჟამიერ“.**

3) ს ... [illegible] სოფლის ცხოვრებიდან და გურული სიმღერები.

IV

1) **ცოცხალი სურათი:** არმაზის დღეობა საქართველოში, წმ. ნინო და კერპების შემუსვრა.

ევროპიული ცეკვა, ლეკური და უზანდარა. დასაწყისი 9 საათზე. ბილეთები იყიდება ნ. საბაევის მაღაზიაში და ქართულ სკოლაში, 14 იანვ. კი კლუბში. (ნ. 2—2)

## შაბათს, ამა იანვრის 23-ს

**საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება**

**„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

## სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კნ. გურამიშვილისა, ეკ. ივ. პოლტარაცკისა, ბ-ნნი ვიქ. რ. ვილშაუ, ივ. სარაჯიშვილი, ბრონ. ი. სლიუსარსკი, ს. მგალობლიშვილი, ვ. ურუშაძე.

## ქართული და ევროპიული ცეკვა

ნაშუალამევის 2 საათამდის

**დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.** (8—1)



## ძმ. ნიკიტნების ცირკი.

**გასტროლი იაპონურ დასისა.**

ხუთშაბათს, 13 იანვარს, 1910 წელს, დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. სხვათა შორის, **მესამე გასტროლი** შესანიშნავ **იაპონურ დასისა,** რომელიც შესდგება 25 კაცისაგან. ამ დასში სულ სახელის არტისტები არიან. საუცხოვო სანახავია. სასიკვდილო გაფრენა, შეასრულებს იტო თავის შვილით. იაპონური დასი ყველას გაოცებას იწვევს.

დასი გამოვა ღამის 11 საათზე.

იაპონიის დასი მხოლოდ 5 გასტროლზეა მოსული.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

დაწვრილებით პროგრამებში.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

(0—ხ.—16) გამგე **გამსახურდია.**

## გლეხი-კაცის ისტორია

რამდენიმე აგენტისა და კიდევ მრავალ ხელის მოწერის მსურველ პირის თხოვნით „გლეხი-კაცის ისტორია“-ზე ხელის მოწერა, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც გაგრძელდება **20 იანვრამდე.** ვინც ოც იანვრამდე არ შემოიტანს აგენტებთან ან გამომცემელთან ხელ-მოსაწერ ფულს, იმათთვის წიგნი არ დაიბეჭდება და გვიან მიღებული ფული უკანვე დაუბრუნდება პატრონს. აგენტებმა სრული ან არიში უნდა გამოგზავნონ ადგილიდან ამ იანვრის **20—25-მდე გარეშე აგენტებისა ვისაც შეუძლიან თავის ნაცნობებში შვიდი ხელის-მომწერის შოვნა და შვიდ მანეთს წინდაწინვე გამოგზავნის ზემოხსენებულ ვადამდე, მას გაეგზავნება რვა წიგნი „გლეხი-კაცის ისტორია“ გამომცემლების ხარჯით.** რადგან **წიგნი ცალკე გასასაყიდად არ გამოვა,** სამკითხველოების გამგეებს შეუძლიათ შეიძინონ ხსენებული წიგნი მხოლოდ ხელის მოწერით. წიგნის ბეჭდვა დაიწყება აუცილებლათ **1-ლ თებერვალს** და ყოველიეე ღონე იქნება მიღებული დროზე საქმის დასასრულებლად.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა „გლეხი-კაცის ისტორია“-ზე ხელის-მოწერის შესახებ გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Кирочная ул. № 9. **Василію Гадилія.**

(5—6.—4) წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი ბ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—84)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—246)

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—75)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში

## ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის მეზობლად, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—13

## ექიმი კაკიტელაშვილი

**ქუთაისში.**

იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—ნ.—25

## ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფები მიიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ე ლ ე ქ ტ რ ო ტ ე რ ი ა პ ი ა—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—7)

## ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—148)

## ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიზრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—82)

## ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ექიმი გ. მაგაკიანი

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—71)

## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ... 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—34)

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—342)

## ექიმი ვასილ წერეთელი

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—92)

## გამოცდილი რეპეტიტორი

**ემზადებს გაკვეთილებს.** ასწავლის საშუალო სასწავლებლის პროგრამით და სიმწიფ. ატესტატ. სპეციალურად ასწავლის. (3—ნ.—3)

## ქ. ქუთაისში

**მებაღე ვარლამ ვ. ჩიხლაძე.**

ვყიდი ამერიკულ ვაზზე საუკეთესოდ დამყნილ ჩვენებურ ჯიშის ვენახს ხელმისაწვდენ ფასებში. მსურველს შეუძლიან იკითხოს ძველი ტფილისის ქუჩის შესახვევში ამბაკო იმანიძის სახლში (ვაგზალთან). 10—კვ.—8

## დღიური

**მეტი რწმენა და იმედი!**

სევდა, ნაღველი, უიმედობა და სასოწარკვეთილება—აი, დამახასიათებელი თვისება დღევანდელ ცხოვრებისა. მინახავს ადამიანი დადუმებული, იცქირებოდა—არრას ხედავდა, ყურს უგდებდა,—არრა ესმოდა, არა ჰგრძნობდა არც სიცივეს, არც შეხებას, მისი გონება შიგნით იყო მიქცეული, მისი თვალი უკანა სჭვრეტდა, მისი სული შორს იყო გაფრენილი, სახეზე ალბეჭდოდა სრული უფერულობა, უსახობა—ტანჯვა გამშრალი, სიხარული დამქკნარი, იმედი მკვდარი. წარსულის და მომავალის ტალღა ერთმანეთს შეტაკებოდა, ერთს მეორე გაელესა, ჩაენთქა, წაეშალა და მხოლოდ არ ყოფნის მკრთალი ნაშთი დაეტოვებია.

ეს არის სახე რეაქციის წარმოშობილი, იგი ჰკლავს გულს მგრძნობელსა და ახჩობს სულს ცხოველს. უგულო ადამიანი იგივე რჩება შავ დღესაც, როგორიც იყო ბრწყინვალე სხივით განათებული.

სახე სასოწარკვეთილი, გული ხალის დაკარგული, ენა დადუმებული—ჩვეულებრივი სანახავია დღეს. აღარ არის რწმენა, გატაცება, იმედი, იმედი, რომ დასასრული ექნება ამ ცხოვრებას, რომელიც მრავალი წელია არა ერთისა და ორის რგოლით გვარტყია გარს, ყოველს წელს უფრო და უფრო გვიახლოვდება და თანდათან გვივიწროვებს თვითარსებობის ფარგალს. ჩვენი საქმე გადაწყვეტილია, ამაოა ყოველი ცდა, დაღუპული ერი ვართ, უნიჭო, რომელიც იმიტომ გაუჩენია ღმერთს, რომ ყველაფერი დაჰკარგოს და არა მოიპოვოს კი რა,—აი, სიტყვები, თუ ვინმემ ხმა ამოიღო.

საშინელება მდგომარეობისა, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლისთვის კი არ იწვევს ადამიანს, არამედ უმოქმედობას და უძრაობას წარმოშობს,—აი, სენი, რომლითაც შეპყრობილია დღევანდელი ჩვენი საზოგადოება და ეს კრიზისი ყველაზე უმწარესია. ერის ცხოვრებაში ამგვარი განსაცდელი უფრო მძიმეა და სახიფათო, ვიდრე ურიცხვ ურდოს შემოსევა და ქარიშხალის აოხრება და განადგურება ქვეყნისა.

ადამიანის უდიდესი მტერი ყოველთვის თვითონ არის. ჩვენი ყოფის უმთავრესი უბედურება ჩვენი სულიერი დაუძლურებაა. შემოქმედება ისპობა იქ, სადაც უიმედობა გაბატონებულა, იარაღს ველარ მოიმარჯვებს ურწმუნო, და მტერი აღვირაშვებული დათარეშობს მის მამულ-დედულ მიწაზე!

ამ შინაურს უძლურებას, ამ ჩვენს სულიერს მატლს, რომელიც ღრღნის ჩვენს ძვალსა და რბილს, უნდა შევებრძოლოთ ყველაფერზე მეტად და უპირველესად. ვერაფერს ვერ შევქმნით, თუ ასე უიმედო-ქმნილნი და უსასო-ქმნილნი დავრჩებით. ვერც ერთს დაბრკოლებას ვერ ჩამოვიშორებთ გზიდან, თუ რწმენით არ აღვიჭურვენით.

რა სათქმელია, რომ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა უზომოდ აუტანელია, თავისუფლება უფრო გა- [illegible] იმის არ-დანახვა ყოვლად შეუძლებელია. პირიქით, საჭიროა მოურიდებლად, უშიშრად, სავსებით გამოკვლევა ყველაფრისა, მაგრამ ძიებამ და კრიტიკამ არ უნდა მიგვიყვანოს იმ უფსკრულამდის, საიდანაც ცოცხალი არავინ ბრუნდება.

ჩავიხედოთ გულის სიღრმეში, ნუ თუ იქ ყველაფერი გაჰქრა, თუ ამ გარეგან სიჩუმეში იქ უხილავი მუშაობაა, რომელიც გამოიტანს ძვირფას ნაყოფს? განა არ იკრიფება ენერგია, რომელიც აუცილებლივ გამოჩნდება თავის დროზე? განა რეაქციამ სიფხიზლე არ მოგვიტანა და უფრო არ ჩავუკვირდით, არ შევიგენით სიმძიმე ჩვენის პოლიტიკურ ტვირთისა?

ეს ხომ სიცოცხლის ნიშანია!

განა არა ვხედავთ, რომ ნელ-ნელა იზრდება შინაგანი, კულტურული მუშაობა, რომელიც სცდილობს ყოველი ჩვენი ნაბიჯი მტკიცე ნიადაგზე დაამყაროს? განა უფრო არ განვითარდა ჩვენში ეროვნული თვითშეგნება, ვიდრე იყო ამ ოთხი-ხუთი წლის წინად? განა არ მივიღეთ კარგი გამოცდილების გაკვეთილი?..

ეს ხომ იმედს გვისახავს!

განა ერთი და ორი იყო ჩვენისთანა პატარა ერი კიდევ უარეს მდგომარეობაში და გამოვიდნენ განსაცდელიდან? განა ცოტა უნახავს ჩვენს ერს წამებულ წარსულში ესეთი უკიდურესობა? განა ის უსაზღვრო კულტურული ძალა, რომელიც დავიმკვიდრეთ ჩვენ, არ გვაძლევს ძლიერ იარაღს მტრებთან განსამკლავებლად?...

არა! ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა მეტად მძიმეა, მაგრამ არა უიმედო, არა უნუგეშო, არა უსასო!

და გარეგანი ძალა არ უნდა გავამაგროთ ჩვენის სულის უძლურებით.

მეტი რწმენა განთიადისა, მეტი იმედი სრულის განახლებისა! **სიტყვა.**

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინდელ „ზაკავკაზიე“-ში დაბეჭდილია მეთაური, ხოლო „ტიფ. ლისტოკ“-ში წერილი ინგლისის საპარლამენტო არჩევნების შესახებ. ორივე სწერს—ინგლისში დასრულდა საპარლამენტო არჩევნებიო, და ამის გამო სხვა და სხვა მოსაზრებას გამოსთქვამენ მომავალ პარლამენტის შემადგენლობის შესახებ. ეტყობა, ამ გაზეთებს მცოდნე პოლიტიკოსები ჰყოლიათ, რომ არჩევნები დასრულებულმდე ჩაუთვლიათ. რა თქმა უნდა, ეხლავე შეიძლე- [illegible] გამოთქმა მომავალ პარლამენტზე, მაგრამ არჩევნები ჯერ დასრულებული არ არის ეს წერილები გუშინწინ დაიწერა, ხოლო როგორც გუშინ მიღებულ დეპეშებიდანა სჩანს, ინგლისში აურჩევიათ 525 დეპუტატი. ინგლისის პარლამენტში სულ 670 დეპუტატია. მაშასადამე, ასარჩევია კიდევ 145 დეპუტატი. ადვილად მიჰხვდებით, ამდენ დეპუტატებს რა ცვლილების შეტანა შეუძლიანთ პარტიათა ძალაში, მაშასადამე, არჩევნების დასრულებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

* *
*

არტისტი ვლ. ალექსი-მესხიშვილი რუსეთიდან მოუწვევია ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას. გზად გავლისას მსახიობს ტფილისში მოუხდა 9 იანვრის წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება. მეორე დღეს, 10 იანვარს, ვლ. მესხიშვილს ქუთაისში უნდა ეთამაშნა. წარმოდგენა ტფილისში გვიან გათავდა, მსახიობი ქუთაისში ველარ წავიდა და ამის გამო, როგორც „ნოვ. რეჩი“ გადმოგვცემს, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას უკმაყოფილება გამოუთქვამს მესხიშვილისთვის და უარი შემოუთვლია მიწვევაზე.

ცხრა იანვრის წარმოდგენას ისეთი დანიშნულება ჰქონდა, რომ ვლ. მესხიშვილს არ შეეძლო, მონაწილეობა არ მიეღო. რამდენადაც ჩვენ ვიცით, მესხიშვილი სრულიად უსასყიდლოდ თამაშობდა ამ საღამოს. წარმოდგენა გვიან გათავდა და მსახიობმა ველარ მოახერხა წასვლა. ეჭვი არ არის, ყოველივე ეს ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას არ ეცოდინებოდა და ამ რიგად, როგორც „ნ. რ.“-ც შენიშნავს, მისი გულის-წყრომა გაუგებრობის შედეგი იქნება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 იანვარი.

## არჩევნები ინგლისში

**ლონდონი.** დილის სამსაათამდის აირჩიეს 221 უნიონისტი, 201 ლიბერალი, 34 მუშათა პარტიის წევრი და 69 ნაციონალისტი. უნიონისტებმა მოიგეს 103 ადგილი.

**ლონდონი.** გუშინდელ არჩევნებ- [illegible] სრულიად მოულოდნელად ათ ოლქში გაიმარჯვეს. უნიონისტებმა, სხვათა შორის, ხელში ჩაიგდეს მილიტაიროგის ოლქი. ამის მიზეზი ირლანდიელთა ფრაქციების მეტოქეობაა. ირლანდიელთა ფრაქციებს მეთაურობენ რედმონდი და ბრიენი. ლიბერალების „ვესტმინისტერ გაზეტა“ სწერს, უნიონისტები და ლიბერალები უნდა შეთანხმდნენ და ლორთა პალატის უფლებები შეზღუდონო. კონსერვატორების გაზეთები სიხარულით მიეგებნენ ამ წინადადებას, თუმცა აღიარებენ, რომ ამის განხორციელებას ბევრი რამ დააბრკოლებს და ნამეტნავად პრემიერ-მინისტრის ასკვიტის განცხადება, ჩემ თანამდებობას თავს დავანებებ, თუ ლორდებს „ვეტოს“ უფლება ექნებათო.

## საზღვარ-გარედ

**ბუდაპეშტი.** ზედა პალატამ დაადგინა, მხედველობაში იქონიოს იმპერატორის რესკრიპტი ხედერვერის სამინისტროს დანიშვნის შესახებ. ზედა პალატამ იმედოვნებს, რომ ახლად დანიშნული მთავრობა თავის მოვალეობას კანონიერად შეასრულებს.

**პარიზი.** მდინარე სენა ნაპირებიდან გადმოვიდა. ზოგიერთი სახლები წყლით აივსო. დაიღუპა რამდენიმე კაცი. დეპუტატთა პალატის სადგომის სარდაფები წყლით აივსო. სენა თან და თან მატულობს. ზოგიერთ ადგილებში ტელეფონის და ტელეგრაფის მუშაობა შეწყვეტილია.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. განიხილეს ახალი სამინისტროს პროგრამმა. ოპოზიციის მეთაურებმა განაცხადეს, სამინისტროს პროგრამმა ბუნდოვანიაო. ამას გარდა ძველი სამინისტროს გადადგომა კონსტიტუციონური არ იყოვო. გრძელი სიტყვა წარმოსთქვა დიდმა ვეზირმა, მან სთქვა: ხილმი-ფაშას გადადგომა კონსტიტუციონური რომ არ ყოფილიყო, მე პირველი არ ვიკისრებდი დიდ ვეზირობას. რაც შეეხება პროგრამის ბუნდოვანობას, მოგეხსენებათ, რომ საჭიროა მის აღსრულებას მოუცადოთო. დასასრულ დიდმა ვეზირმა შეეხო საგარეო პოლიტიკას და აღნიშნა, რომ სახელმწიფოებთან კარგ განწყობილებაში ვართო. დეპუტატთა [illegible] უმრავლესობით (187 ხმით, წინააღმდეგ 34), ნდობა გამოუცხადა ახალ სამინისტროს.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ წყალ დიდობისგან დაზარალებულთა დასახმარებლად ორი მილიონი ფრანკი გადასდო. პალატამ (307 ხმით წინააღმდეგ 137) პრემიერ-მინისტრისაგან მიიღო დესუას რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია, იმედი გვაქვს, რომ მთავრობა საერო სკოლას ყველა მტრებისგან დაიცავსო. ამას გარდა, რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პალატა წრეულსვე განიხილავს კანონ-პროექტს საერო სკოლების შესახებ.

ჰავასის სააგენტოს საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში გაუგია, რომ წყალდიდობას პარიზის მიდამოებში მცხოვრებთათვის დიდი ზარალი მოსვლიათ. ალფორტვილის ქუჩები სულ წყლით გავსილა. შიშობენ, რომ სახლები არ ჩამოინგრეს. შალონში ზოგიერთი სახლები დაინგრა. მცხოვრებლები ძლივს-ძლიობით გადარჩნენ. ზარალი დიდია.

**ათინა.** გაზეთების სიტყვით, მინისტრი პრეზიდენტს გენერალ ზორაბასისთვის წინადადება მიუცია სამინისტროში შევიდეს, მინისტრ პრეზიდენტს ამით უნდა, რომ სამხედრო ლიგის მოქმედება მოსპოსო. ჰფიქრობენ, რომ ზორბასი სამხედრო, ან შინაგან საქმეთა მინისტრობას იკისრებს.

**კალკუტტა.** დააპატიმრეს პოლიციის აფიცერის მკვლელი, ახალგაზრდა ბენგალიელი, მკვლელობა მოხდა უმაღლეს სასამართლოს სადგომში, სადაც შეთქმულთა საქმე ირჩეოდა.

**ნიუ-იორკი.** აკოიაპის ახლო, ნიკარაგუაში, შეტაკება მოუვიდათ ესტრადის და ნადრიცას ჯარებს.

**ათინა.** მთავრობის წრეებში უარჰყოფენ გაზეთების მიერ გავრცელებულ ცნობას, ვითომ მთავრობას ზორბასი მიტომ მოეწვიოს სამინისტროში, რომ ამით სამხედრო ლიგის მოსპობა უნდოდაო. მიუხედავად ამისა, გაზეთები მაინც სწერენ, მთავრობას განზრახული აქვს სამხედრო ლიგა დახუროსო.

[illegible] ნაწილში დიდი წვიმები და ქარიშხალია. ზარალი დიდია.

**პარიზი.** სენა თან და თან მატულობს. სთოვს. მთავრობამ ზოგიერთ ალაგებში მისვლა-მოსვლა აკრძალა. პროვინციიდან იუწყებიან, რომ წყალდიდობამ ბევრი იმსხვერპლაო.

## რუსეთი

**ახალი ბუხარა.** სამარყანდიდან რუსის ჯარის ჩამოსვლისთანავე მშვიდობიანობა დამყარდა. ქალაქ გარედ შეტაკება მოუვიდათ სუნიტებს და შიიტებს. [illegible] მეთაურობით [illegible] 500 კაცის გაფანტვა. ყაზახებს იარაღი არ უხმარიათ. ადგილობრივ იპოვეს სამი კაცის გვამი. შეტაკება აღარ მომხდარა. რუსეთის დაწესებულებებს ჯარი იცავს.

**ასტრახანი.** ყირგიზთა მინდვრების მეორე სამამასახლისოში შავი ჭირი გაჩნდა. ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3 კაცი.

**მინსკი.** გამოირკვა, რომ აზოვ-დონის ბანკის პინსკის განყოფილებაში კუზნეცოვს გაუფლანგავს 93,000 მანეთი. კუზნეცოვი იმალება.

**მოსკოვი.** ადმინისტრაციამ 500 მანეთით დააჯარიმა გაზეთ „დერევენსკაია გაზეტას“ რედაქტორი. გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი: „სოფელი და ქალაქი“.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს ბრძანება დაუგზავნა, ტრაქტირებს ხელს ნუ შეუშლით, რომ ცხელ საჭმელებთან ერთად მაგარ სასმელებიც ივაჭრონ. მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ამან ხელი არ შეუწყოს მაგარ სასმელებით სავაჭრო დაწესებულებების გამრავლებასო.

**მოსკოვი.** დაიხურა სრულიად რუსეთის ბეითალთა კრება. კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ რუსეთის ისეთ ადგილებში, სადაც ერობა არ არის, რაც შეიძლება მალე იქმნას შემოღებული ერობა. კრების აზრით ეს ერთად ერთი საშუალებაა საბეითლო საქმის კრიგიანად დასაყენებლად.

**ახალი ბუხარა.** ნაშუადღევს ბრბო თავს დაეცა სპარსელებს. მოჰკლეს სპარსელი ექიმი ოჯახობით. მოკლული ბევრია. სუნიტებმა განაცხადეს, მანამდის არ დავყრით იარაღს, სანამ მოხელედ ერთი შიიტი მაინც იქნებაო. ბამბის ქარხნები დაიკეტა, რადგან მუშები აღარ მუშაობენ.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ განიხილა მუშა ლეისტერის საქმე. ბრალდებოდა ნორვაში ტე-

# ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

„ისტორიული არსება“.

## 1.

ჩვენ ყველანი მომავლის იდეალებით ვსცხოვრობთ. თვით მაშინაც კი, როცა ზნეობა ადამიანობის ზედმეტ დამატებად მიგვაჩნია და არსებობის აზრს „მომენტის შერჩევაში“ ან „წუთის ყლაპლობაში“ ვხედავთ. წარსული ჩვენს წარმოდგენაში ხშირად სევდის მომგვრელს სასაფლაოსა ჰგავს ან კიდევ „მიტოვებულს ქალაქს“, როგორც ერთმა მგოსანმა სთქვა. უსიცოცხლოს, მყუდროებით მოცულს: დავიწყების ნისლი ნელნელა ჰფარავს უმაღლეს, უმშვენიერეს ძეგლებსაც და უბრალო ლოდებსაც და მუდმივ განუჭვრეტლად ჰხდის მოშორებულს ნაწილს, რომელიც თანდათან იკარგება სადღაც დაუსრულებლობაში... მომავალი კი? მისი სილუეტები არასოდეს არ არიან კარგად გამორკვეულნი, მაგრამ რაღაც ძლიერ ნათელსა და ძლიერ ლამაზს ყოველთვის ვხედავთ ამ მიმართულებისკენ. ხშირად აგრეთვე ძლიერ ბედნიერს.

მომავალი ოცნებაა, „მუდმივი ზღაპარი მზის სამეფოზე“ და საუკეთესო ნაწილი ჩვენის სულისა ამ ოცნებაში შევიტანეთ. ადამიანი ან, მით უმეტეს, მთელი ხალხი უიდეალოდ—რაღაც დაუმთავრებელს არსებად მიგვაჩნია, გაუგებრობად, შინაგან წინააღმდეგობად. ჩვენ ყოველთვის ვითხოვთ ადამიანისაგან, რომ ის ყოველს თავის მოქმედებაში ცხოვრების იდეით ხელმძღვანელობდეს და პ[illegible]უტყვულად ვსთვლით ისეთს ყოფაქცევას, რომელიც მომენტების მოთხოვნილებებს ვერ გასცილებია. ზნეობრივს პიროვნებას და ზნეობრივს იდეალს ვეძებთ ადამიანში და იდეალია, მიზანთა წინდაყენება ადამიანობის ყველაზე უფრო დამახასიათებელს თვისებად მიგვაჩნია. მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით ამ კეთილშობილს ნიჭს ადამიანისას, ადვილად დავინახავთ, რომ იგი დაფუძნებულია იმის მეორე საყურადღებო მხარეზე, რომელიც არა ნაკლებ გარკვევით არჩევს მას ცხოველისაგან: **ადამიანი ისტორიული არსებაა...**

ადამიანი ისტორიული არსებაა და უწინარესს ყოვლისა ეს არის საძირკველი მის განსაკუთრებულ ბედისა თუ უბედობისა, საძირკველი მისი ადამიანობისა. ცხოველმა არ იცის ისტორია. აქ წინაპართა გავლენა მხოლოდ ფიზიკურია. მოდგმის თუ გვაროვნობის წარსული შეუგნებლად მოქმედებს პირუტყვულს ინდივიდუალობაზე და სრულიად შეუძლებლად ჰხდის, რომ მან თავის მოქმედებაში იმ ვიწროდ მოფარგლულს საზღვრებს გადააბიჯოს, რომელნიც მოდგმის ფიზიკურს ბუნებაზე არიან დამოკიდებულნი. ამიტომ ცხოველი მოკლებულია პიროვნებასაც. ფიზიკურის აუცილებლობით ის იმავე გზით მიდის, რომელზედაც იმის წინაპრებსა და მოძმეებს უვლიათ, იმავე ლტოლვათ და ინსტიქტთ ემორჩილება, რომელნიც იმის თანაარსთათა მოქმედებას საზღვრავენ. წარსული აქ სავსებით შეგნების გარეშე იმყოფება: ამიტომ ცხოველმა ნაკლებად იცის, თუ რა არის მოტივთა ბრძოლა მოქმედების დროს და ის აუცილებლად იმ ლტოლვათ ექვემდებარება, რომელსაც მომენტის მოთხოვნილებანი უკარნახებენ. თვითნებობას მოქმედებაში კი იგი სავსებით მოკლებულია.

სულ სხვაა ადამიანი. რაც უნდა განუვითარებელი იყოს იგი, რაც უნდა დაბალს საფეხურზე იდგეს გონებრივად, შეგნებულის გადმოცემის წყალობით, წინაპართა გავლენა მასზე ყოველთვის ფსიხიურიცაა. მის წინსვლასთან ერთად კი შეუჩერებლად იზრდება და მრავალფეროვნება ეს ფსიხიური შინაარსი წარსულისა. არა მიტოვებული სასაფლაო სძევს სინამდვილეში იმის უკან: დიადი ნაყოფი უთვალავ თაობის შრომისა ასაზრდოვებს მის მეცნიერულს და პრაქტიკულს, ზნეობრივს და სარწმუნოებრივს მოთხოვნილებებს, საზღვრავს მთელს მის არსებას, მის მაჯის ცემას. ძლიერ შორეულ ძალთა მოძრაობას ეთვისება ეს მაჯის ცემა. მხოლოდ ადამიანს შეუძლიან ამაღლდეს თავის თანაგრძნობაში წუთიერობაზე, გასცილდეს მახლობელთა ვიწრო წრეს, იტანჯოს და იმხიარულოს შორეულს წინაპართა ტანჯვით და სიხარულით. შეუდარებელი გაფართოვება პიროვნებისა, რომელსაც ცხოველი მოკლებულია!

წარსულის შეუგნებლად შეუძლებელია შეგნება მომავლისა. ადამიანის ცნობიერებაში მომავალი ყოველთვის და აუცილებლად არსებობს, როგორც შესაძლებლობა და არა როგორც ობიექტური რეალობა. ამიტომ ის არსება, რომელიც მოკლებულია წარსულის ცნობიერებას, თავისუფალია დროების წარმოდგენისაგან საზოგადოდ, იმიტომ, რომ აწმყო მხოლოდ მომენტია, ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებელს მომენტებისაგან კი დროების წარმოდგენის შედგენა ყოვლად შეუძლებელია. დრო მიმდინარეობაა და ვინც ამ მიმდინარეობას თავის უკან ვერა ჰხედავს, ის აუცილებლად ბრმაა მომავლისათვის, იმიტომ რომ მაშინ იმის შეგნებაში მხოლოდ აწმყო არსებობს რეალურად: როგორც მომენტი, როგორც დამოუკიდებელი წერტილი. სიმბოლიურად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მომავალი პროექციაა წარსულ დროებით მიმდინარეობისა, განცდილი რეალობა შესაძლებლობად წარმოდგენილი. ცხადია, ეს შესაძლებლობა ვერ იარსებებდა, რომ შეგნებაში იგი რეალობა არა ყოფილიყო.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს აწმყოსა და ისტორიულს წარსულს შორის, სუსტდება ან თითქმის სრულიად ჰქრება სოციალურს და ინდივიდუალურს შეგნებაში. ორი ავადმყოფობა იკიდებს მაშინ ფეხს საზოგადოებაში: „ზეკაცთა“ „წუთის-ყლაპიობა“ და დონ-კიხოტობა ჰქის ფეხებიან ბუმბერაზებისა. „ცხოვრება მხოლოდ მომენტებში მდგომარეობს,—ამტკიცებენ პირველნი: საჭიროა რაც შეიძლება უფრო ინტენსიურად ვისარგებლოთ ამ მომენტებით, დავეწაფოთ ცხოვრების სიტკბოებას და ამოვსწოვოთ, რისი ამოწოვაც კი შეიძლება“. „ისტორიულად აღმოცენებული და განმტკიცებული შეცდომებისა, უაზრობისა და ბოროტების ნაყოფია“,—ამბობენ მეორენი:—ერთის გმირულის დაკვრით უნდა მოსპობილ იქმნას მთელი ეს ნაყოფი მოუმწიფებელ გონებისა, რათა ადგილი განთავისუფლდეს რაციონალურ შემოქმედებისათვის“. დროთა მიმდინარეობის, ჟამთა-ბრუნვის გრძნობა ორივეს ძლიერ დაჩლუნგებული აქვს: პირველთ აკლიათ ნიჭი სავალდებულოისა და იდეალურისათვის, მეორე კი—ისტორიულისა და ობიექტიურისათვის; პირველნი სრულიად ბრმანი მაშინ არიან, როცა წინ იცქირებიან, მეორენი მიშინ, როცა უკან მობრუნდებიან. ორივენი ბევრს ლაპარაკობენ ზეკაცობაზე: ადამიანობის მხრივ-კი ორივენი ერთნაირად კოჭლობენ.

ჩვენის ისტორიულ წარსულის ძეგლთა აჩრდილნი გრძელს ზოლებად აწვებიან ჩვენს მომავალს. სამარცხვინო ბოძნი სიკვდილისა და ტანჯვისა ისევე კარგად ისვრიან თავიანთ სილუეტებს, როგორც დიდების ტაძარნი. მაგრამ ჩვენი ნიჭის, ფანტაზიის, იმედების და სურვილების შემწეობით ჩვენ საუკეთესო მხარეებით ავლჭურავთ ხოლმე ჩვენს ლტოლვათა მიზანს და სპეტაკად, მუდმივ საოცნებოდ ვხდით იმას, რაც წარსულში ხშირად ძლიერ მახინჯი იყო, ტლანქი, მოუხეშავი. ამიტომ ხშირად ვივიწყებთ, რომ ჩვენი იდეალებით, არსებით, ნიჭით თუ უნიჭობით ღვიძლი შვილნი ვართ ჩვენისავე წარსულისა და რომ ჩვენი იდეალები ისევე არიან ჩვენზე გამოჭრილნი, როგორც ჩვენ ჩვენს ისტორიულს წარსულზე.

მდიდარი და საგმირო მომავალი იმას უღიმის, ვისაც მდიდარი და საგმირო წარსული აქვს: ფილისტერები არც კი ოცნებობენ სხვა რამეზე, გარდა თბილ ხალათისა და სრულ ფოსტლებისა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის, ვინც თავისი არარაობა წარსულში საკმაოდ შეურყევლად დაამტკიცა, ვერც მომავალში შესძლებს მთების გადაბრუნებას. უძლიერესი ზნეობრივი, სოციალური და ესთეტიური იდეალები მდიდარს და მრავალმხრივს ისტორიულს ნიადაგზე აღმოცენდნენ. სოციალისმის იდეალიც—უდიდესი და უკეთილშობილესი იმ ნაყოფთა შორის, რომელიც ადამიანურს სამართლიანობას ოდესმე გამოუღია, იმ ერებმა წამოაყენეს, რომელთა ისტორია თვალსაჩინო მოწამეა დიდ საქმეთა, დიდ ლტოლვათა და დიდ გმირობათა...

„შენ მას არ მოსძებნიდი, რომ უკვე აღმოჩენილი არ გყავდესო“, ამბობს სადღაც პასკალი ადამიანის მიერ ღვთაების ძიების გამო. თავის შინაგანს არსებაში პოულობს ადამიანი ღვთაებრივს და იდეალურს: სრულიად უცხოს და გაუგებარს არასოდეს არ შეეძლებოდა მასზე ის გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა, რომელსაც იდეალები ახდენენ.

## 2.

მაგრამ არა მარტო მომავლის შეგნებას და იდეალების წამოყენების ნიჭს უნდა ვუმადლოდეთ არსებითად იმ გარემოებას, რომ ჩვენ „ისტორიულნი არსებანი“ ვართ ამ სიტყვის ჭეშმარიტ მნიშვნელობით. ჩვენი უბედობის საძირკველიცაა ბევრ გზის ჩვენი ისტორიული შემეცნება მეტქი, ვსთქვი ზევით. ამ შემეცნების გარეშე შეუძლებელი იქმნებოდა სიკვდილის იდეა, რომელიც ესოდენ მძიმე ლოდად აწევს კაცობრიობას: ნაღვლიანი ხატება ჩვენს გაფართოებულს ჰორიზონტზე, დაუშრეტელი წყარო სევდისა და ვარამისა!

„წინათ-ცოდნა, აი ჩვენი მტერი!“

ლცერის ქარხნის დირექტორის მოკვლა. სამხედრო სასამართლომ ლეისტერს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა და დაადგინა იშუამდგომლოს, რომ სასჯელი შეუმსუბუქდეს.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ რუსეთის, საზღვარ-გარეთის და კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებიდან ცნობა მიიღო ახალ კუდიან ვარსკვლავის გამოჩენის შესახებ.

**წმ. ნინოს დღესასწაულისა გამო, „დროების“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 16 იანვარს.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ადგილის მძებნელნი.** „ზაკავ.“-ში დაბეჭდილია: „ტფილისში ჩამოვიდა რუსს „ხოდოკების“ ჯგუფი. გუშინწინ ჯგუფი კახეთში წავიდა, სოფელ იყალთოში თავ. მაყაშვილის მამულის დასათვალიერებლად“. ამ რიგად შუაგულ კახეთშიაც აპირებენ რუსის გლეხები ადგილების შეძენას.

✦ **დღესასწაული.** დღეს, 14 იანვარს, დღესასწაულობენ ქართული გაზეთები და კულტურული დაწესებულებანი. გაზეთები გამოვა შაბათს, 16 იანვარს.

✦ **ექსკურსია.** კიევიდან 16 დეკემბერს გამოსული თერთმეტ სტუდენტისაგან შემდგარი ექსკურსია გაემგზავრება ტფილისიდან ისევ უკან 20 იანვარს, საღამოს 10 საათზე, კიევში სწრაფის მატარებლით.

✦ **საქსოვ სახელოსნოს მუშაობის განახლება.** ამას წინად გორში უსახსრობისა გამო კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ დახურა საქსოვი სახელოსნო. რადგან საზოგადოებამ ვაჭრის გულიშამბაროვისაგან მიიღო დახმარება, სახელოსნოში მუშაობა განაახლა.

✦ **თავის დახრჩობა.** 12 იანვარს საღამოს 5 სათზე, ავლაბრის ხიდიდან მტკვარში გადავარდა უცნობი კაცი, 25 წლისა, და დაიხრჩო. ვინაობა დამხრჩვალისა არ იციან. დამხრჩვალი ვერ იპოვნეს, თუმცა მალე ჩაეშველნენ.

✦ **ქ-ნ მელიქიანცის საიუბილეო კომიტეტი.** ქ-ნ მელიქიანცის საიუბილეო კომიტეტის წევრებად არჩეულ იქმნენ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, აღაბალოვისა, აროტამიანისა, აბელიანისა, ექ. ზარგარიანცი, მ. ა. ჯაბარი და მსახიობი არუთინიანცი.

✦ **ჯარის კაცნი.** ტფ. ქალაქის სამხედრო საკრებულომ ჯარში გასაწვევ ყმაწვილ კაცთა სია უკვე შეავსო 210 კაცის შემოწმებითა და სამსახურში ჩარიცხვით. აკლია მხოლოდ 5 კაცი.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი „ცივ ღამეში ცივი ფიქრები“, ლევ. მეტრეველისა, გამოცემა ახოსპირელისა. ფ. ერთი შაური.

✦ **5 იანვრის უბედურების მსხვერპლი.** სამშაბათს, 12 იანვარს, საღამოთი გარდაიცვალა ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების დროს დაშავებული ფოტოგრაფი სბუნსკი. უსახელო საზოგადოებამ განსვენებულის ჭირისუფლებს ცხედრის დასაფლავებისთვის 150 მანეთი გაუგზავნა. ეს მეოთხე კაცი გარდაიცვალა 5 იანვარს დაშავებულთაგან.

✦ **ნაციონალური მუზეუმი და წიგნთ-საცავი.** მუზეუმისთვის შენობის ამგები კომისია 12 იანვარს უკვე შეუდგა მუშაობას. ამ დღეს დეპუტატთა საკრებულოში მოხდა კომისიის პირველი სხდომა. კომისიამ აირჩია თავმჯდომარე და მდივანი და დაადგინა შეუდგეს მოქმედებას. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა საეტნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე ე. ს. თაყაიშვილი, ხოლო მდივნად ივ. ჯავახიშვილი.

✦ **მამულების გამოსყიდვა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ მოლაპარაკება გამართა მუხრანსკისთან, ქამოევთან, არღუთინსკისთან და ტერ-ასატუროვთან მადათოვის კუნძულის სამხრეთ ნაწილის გამოსყიდვის შესახებ. გამგეობას აზრადა აქვს, ბაღი გააშენოს ამ მამულზე. მუხრანსკი ერთ ოთხ-კუთხედ საჟენს 80 მანეთად აფასებს. აქვს 11,000 ოთხ-კუთხი საჟენი.

✦ **ახალი ჟურნალი.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას დრო გამოშვებით გამოსცეს ჟურნალი „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოამბე“. რედაქტორად იქნება მდივანი ს. ფირცხალავა.

✦ **მიწის-ძვრა.** 12 იანვარს, დილით ადრე, მიწის ძვრა ამიერ-კავკასიის ბევრ ადგილას მომხდარა. როგორც ვიცით, ტფილისში დილის ხუთ საათზე იძრა მიწა. ამავე დროს იძრა თურმე მიწა ერევანსა, ეჩმიაძინსა და სხვაგან. უბედურება არსად მომხდარა, თუმცა ხალხი შეშინებულა.

✦ **საიდუმლო ქარხანა.** ტფილისის ზოგიერთ სანოვაგის მაღაზიაში, განსაკუთრებით იარმუკაში, ხშირად ჰყიდიან საეჭვო თვისების კალბას, რა თქმა უნდა, ბევრი ვერ არჩევს კარგსა და ცუდ კალბასს და სტყუვდება. უვარგისს სანოვაგეს ტფილისში ბევრნი ამზადებენ თურმე. უვარგისს კალბასის საკეთებელი ერთი საიდუმლო ქარხანა პოლიციამ აღმოაჩინა ქალაქის გადაღმა სენით სავადმყოფოს მახლობლად, ტფ. მოქალაქის საქულა იმერლიშვილის სახლში. პოლიციის მე-6 ნაწილის ბოქაულმა საბჭოს უბნის ექიმთან ერთად გაჩხრიკა და მრავალი საეჭვო თვისების კალბასი გააუქმა. სახლის პატრონი იმერშვილი პასუხის გებაში მისცეს.

✦ 12 იანვარს ქალაქ ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: საღამოს 7 საათზე კახეთის მოედანზე დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე გრიგოლ მოსესოვი, ხელობით ფეხსაცმელების მკერვალი, რომელსაც ფუთაში გამოკრული სადღაც მოპარული ნივთები მიჰქონდა. ნივთები მოსესოვს ეტლიდან მოეპარა პოლიციის მე-5 ნაწილში. კახეთის გზატკეცილზე დრაგუნის პოლკის ჯარის-კაცებმა დააპატიმრეს ქიზიყელი გლეხ ათაბეგოვი და რაჭველი დონგინოზ ყიფიანი (15 წ.), რომელთაც მოპარული საეკლესიო ნივთები მიჰქონდათ. როგორც გამოირკვა, ნივთები მოეპარათ ტფ. მაზრის სოფელ შვინდისის სომეხთა ეკლესიიდან. ქურდებს აღმოჩნდათ 5 შანდალი, 2 დამბაჩა, 2 ჯვარი და სხვ. ქურდები მაზრის უფროსს გადაეცა პასუხის გებაში მისაცემად. ჩხუბის დროს სიღნაძელი ადექსი ვარვარიძე დასჭრა ტფ. მც. გაბრიელ კაპანაძემ დანით მკლავში. ბრალდებული დააპატიმრეს. თეოდოსიის ქუჩაზე ისააკ კარიაკოზისთვის ქურდებს მოეპარათ 182 მან. ნივთები. ეჭვი მიიტანეს ვიღაც ბურგანზე, რომელიც დაიმალა.

✦ კვირას, 17 იანვარს, ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში 12 სათისათვის დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. ქალაქის გამგეობის მოხელეთაგან შემდგარ სალიტერატურო და სამუსიკო საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს წრის მოქმედების ანგარიში და რამდენიმე სხვა საკითხი.

# სენატორი ვატაცი ხონში და ქუთაისში

ხონიდან გვწერენ: „სამტრედიის დათვალიერების შემდეგ 10 იანვარს ხონში ჩამოვიდა კავკასიის ნამესტნიკის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე სენატორი ვატაცი. ახლდნენ: სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს წარმომადგენელი დეუნკოვსკი, ქუთაისის გუბერნატორი და მაზრის უფროსი, შორაპნის მაზრის უფროსი და სხვანი. ხონელები დიდის ამბით დაუხვდნენ. ბაზარი გაწმინდეს, გაასუფთავეს, მორთეს ბაირაღებით და ერთ ალაგას თაღიც კი გააკეთეს და მორთეს ყვავილთა ხვეულებით. სენატორი ვატაცი ჩამოსვლისთანავე ეკლესიაში შევიდა. სიტყვა უთხრა პლ. ცაგარეიშვილმა. წირვის გათავების შემდეგ მივიდა სემინარიასთან. აქ უცდიდა აუარებელი ხალხი. იყვნენ ვაჭრები, სოფლის ხალხი და მოწაფენი. საზოგადოების სახელით მიართვეს პურ-მარილი. სენატორმა დიდი მადლობაც გადაუხადა ხალხს. მერე დაათვალიერა სახელოსნო სასწავლებელი, ვაჟთა პროგიმნაზია და ქალთა მარიამის სასწავლებელი. შემდეგ იგი მიიწვიეს სადილად სასწავლებლო სემინარიის შენობაში ვაჭრებმა. ხალხი მაინც არ იშლებოდა და ყველგან დასდევდა. ამისათვის იგი სემინარიის შენობის მეორე სართულის აივანზე გამოვიდა და უთხრა ხალხს დაახლოვებით შემდეგი: „მე დიდი მადლობელი ვარ ასეთის დახვედრისათვის. დავათვალიერე თქვენი სასწავლებლები და ძლიერ მომეწონა. ამ სასწავლებლების წყალობით თქვენ გაგიჩნდებათ სწავლული ადამიანებიო, რომელნიც ყოველ საქმეში დაგეხმარებიანო“. ხალხმა „ურა“ დაიძახა. იქნებოდა ნაშუადღევის 4 საათი, როდესაც ქუთაისისაკენ გაემგზავრა. ხალხი კვლავ შეიკრება და კვლავ „ურას“ იძახდა. გაანათეს ბაზარი. ხალხი დაჰხვედრია პურ-მარილით კუხში და სოფ. მაღლაკში. უთხოვნიათ გადასახადების პატიება, მაგრამ სენატორს უარი უთქვამს.

ქუთაისიდან გვწერენ: „10 იანვარს, საღამოთი, ქუთაისს ეწვია ხონიდან კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი, რომელსაც თან ახლდნენ: ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენელი ჟუნკოვსკი, ქუთაისის გუბერნატორი ა. ი. სლავოჩინსკი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. დ. ო. ნიჟარაძე, ქუთაისის მაზრის უფროსი ლინსტრომი, შორაპნის მაზრის უფროსი ოლხოვსკი და სხვანი. ქალაქის საზღვარზე მიეგებნენ: ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ა. ა. მაკაროვი, ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე, ქალაქის საბჭოს ხმოსნები, მოქალაქეთა („მეშჩანსკი“) მამასახლისი ი. პ. გოგოლაშვილი და დიდძალი ხალხი ამქრების ბაირაღებითა და დაფა-ზურნით. პირველად მიულოცა სენატორს ვატაცის ქუთაისში ჩამოსვლა ვიცე-გუბერნატორმა. შემდეგ ქალაქის მოურავმა დ. ა. ლორთქიფანიძემ შემდეგი სიტყვით მიმართა: „ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, ქუთაისის ქალაქის მცხოვრებთა სახელით მოგესალმოთ და უღრმესი მადლობა მოგახსენოთ ჩვენს ქალაქში მობრძანებისათვის, უთუოდ, იმ აზრით, რომ დაახლოვებით გაიცნოთ ადგილობრივი მცხოვრებთა აზრ-ღტოლვილება და მათი ჭირ-ვარამი. მკვიდრთა დაახლოვებით გაცნობა თქვენ იმ უეჭველ დასკვნამდის მიგიყვანთ, რომ ქართველი ერი, რომელიც თავის ნებით სამუდამოდ შეუერთდა რუსეთის იმპერიის, უსაზღვრო ერთგულია თავის საყვარელ ხელმწიფისა და საერთო სამშობლოს რუსეთის იმპერიისა, და ის ბრალდება სეპარატისტულ მიდრეკილების შესახებ, რომელსაც ბოროტი პირნი თავს ახვევენ ქართველ ერს, სრულიად ყალბი და უსაფუძვლოა. ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის მიერ აღძრული შუამდგომლობანი ქალაქის მრავალ აუცილებელ საჭიროებისა და მოთხოვნილებაზე, რომელთა შესახებ მე ტფილისშიაც მოვახსენე თქვენს აღმატებულებას. რადგან ეს შუამდგომლობანი გამოწვეულია აუცილებელ საჭიროებათაგან, ამიტომ იმედი გვაქვს დახმარებას გაგვიწევთ, რომ ქალაქის შუამდგომლობანი, რაც შეიძლება, მალე და სასურველად დაბოლოვდეს. გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემგან, როგორც ქალაქის მცხოვრებთა წარმომადგენლისაგან, პურ-მარილი“.

სენატორმა ვატაციმ მადლობა გადაუხადა ქალაქის მოურავს და სთქვა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ადგილობრივი მცხოვრებელნი ღირსნი არიან იმისა, რომ მთავრობა სრულის ნდობით უყურებდეს მათ და ზოგიერთ პირთაგან გავრცელებული არა კეთილსაიმედო ხმები ვერავითარ ნდობას ვერ დაიმსახურებენ. ამაში მე სრულიად დავრწმუნდი ქუთაისის გუბერნიაში მოგზაურობის დროს. თუ ამგვარ ცრუ ხმებს ვენდეთ, მაშინ ხომ ცხოვრებაც შეუძლებელი იქნებაო. რაც შეეხება ქალაქის მიერ აღძრულ შუამდგომლობებს, ჩემის მხრით მიღებულ იქმნება ზომები, რომ მალე იქნენ ისინი განხილულნი და დაბოლოებულნიო“. შემდეგ მიესალმა სენატორს მოქალაქეთა (მეშჩანების) მამასახლისი და ხონჩით პურ-მარილი მიართვა.

ამის შემდეგ ნამესტნიკის თანაშემწე ამალით ვოკზალზე წავიდა, სადაც იმისთვის დამზადებული იყო სადგომად საგანგებო ვაგონი.

# მოწერილი ამბავი

**თელავი.** სანკრძალე[illegible] დარის შემდეგ საშობაოდ გაავდარდა და თოვლიც გვესტუმრა. თუმცა თოვლი საქმელად არ მოსულა[illegible] [illegible] სუსხი შემოვიდა და [illegible] წყნ.

დღესასწაულებმა [illegible] თელავში, თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი შეძლებულ საზოგადოების და ინტელიგენციის დროს ტარებას და შობის ხეების მართვას, თორემ შეუძლო ნაწილი ყოველთვის და [illegible] მოკლებულია ყოველსავე სიამოვნებას.

შობის ხე, ბავშვების ეს ერთად-ერთი გასართობი, მართალია, 4 იანვარს გაიმართა აქაურ კლუბში, მაგრამ აქაც მხოლოდ ისეთ ბავშვებს გაუღიმათ ბედმა, რომელთა მშობლები სხვანაირ სიამოვნება-დროს გატარებასაც არ აკლებენ თავიანთ შვილებს. შესვლა პატარებისთვის 50 კ. და მოზრდილთათვის 1 მ. ღირდა. კარგი იქნებოდა, კლუბის მამებს ღარიბებიც არ დაევიწყათ და ფასიან შობის ხესთან ერთად უფასოც გაემართათ, მით უმეტეს, როგორც გადმოგვცეს, საშუალება ხელს უწყობდათ. ქალაქისა არ იყოს: ისე გადის დღესასწაულები, რომ ქალაქის გამგეობა გროშით დახმარებას არავის უწევს...

წინად ასეთ ბედნიერ დღეებში მაინც იმართებოდა ხოლმე იაფ-ფასიანი წარმოდგენები. 7-8 წლიწადია ესეც მიივიწყეს. ერთხელ სახალხო თეატრის ასაგებად ფონდიც კი დააარსეს და შეგროვილი ფული სამას მანეთამდე აქამდე ინახება აქაურ შემნახველ კასაში. ასეა ჩვენში: ახალი საქმის დაწყება ხელად ვიცით, მაგრამ გაგრძელებისა და დასრულების უნარს ვეღარ ვიჩენთ...

ეხლა, როგორც გავიგე, თელავში არსდება სცენის მოყვარეთა წრე, რომელსაც აზრად ჰქონია წარმოდგენების მართვა. ასეთი წრე წინადაც რამდენჯერმე შემდგარა. ძალიან კარგი აზრია, მხოლოდ სასურველია წრემ აზრად გაიხადოს იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვა.

წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ 27 დეკემბერს დანიშნული მეჯლისი, სხვა და სხვა მიზეზისა გამო, გადაუდგიათ 24 იანვრისათვის. საღამო შინაარსიანი იქნება. სხვათა შორის, საუკეთესო ტანისამოსისათვის საჩუქარია დანიშნული.

**დავიწყებული.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული კონცერტი.** მალე 25 წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც პირველი კონცერტი გამართა ქართულმა ხორომ ბ-ნ რატილის ლოტბარობით და განსვენებულ ლადო აღნიაშვილის თაოსნობით. ამის აღსანიშნავად განუზრახავთ გამართონ კონცერტი იმავე პროგრამით და იმავ ბ-ნ რატილის ლოტბარობით. ხოროში მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე მომღერალი, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ამ პირველ ქართულ კონცერტში.

# ქართული წარმოდგენები ავლაბარში და ბ-ნი ამოხარაზიანი

(წერილი რედაქციის მიმართ)

წარსულის წლის სექტემბრიდან ავლაბრის თეატრის გამგე-პატრონობა იკისრა სომხურ დრამატიულ ხელოვნების მოყვარემ ბ-ნმა ამო ხარაზიანმა და რიხითა და ზეიმით ადგილობრივ პრესის საშუალებით აუწყა საზოგადოებას, რომ იგი გულწრფელად ემსახურება სათეატრო ხელოვნებას. ერთი პატარა წერილი ქართულ გაზეთშიაც მოათავსა, რომლიც აცნობებდა ქართველ საზოგადოებას, რომ მას სურდა სომხურ წარმოდგენებთან ერთად ქართული წარმოდგენების მართვაც, თუ კი აღმოჩნდებოდნენ ქართულ ხელოვნების მოყვარულნი და ხელს შეუწყობდნენ. რასაკვირველია, უყურადღებოდ არ ჩაიარა ხარაზიანის ასეთმა გულშემატკივრობამ ქართველ საზოგადოებისადმი და ავლაბრელ ძველ სცენის მოყვარეთაგან შესდგა კიდეც და-

წამოიძახა რუსსომ. მართლაც, რა რიგ ბედნიერნი ვიქმნებოდით, რომ სიკვდილი და უბედურება ისე გვეპარებოდეს ხოლმე, როგორც მხდალი ქურდი ბნელს ღამეში და შესაძლებლობის სახით არ გვტანჯავდეს, სანამ სინამდვილედ გარდაიქცევდეს. სავალალოა, რომ დამოკლოსის მახვილი ჩვენ თავს ზევით ჰკიდია წვრილს ძაფზე და ჩვენც ძლიერ კარგად გვესმის ეს გარემოება. საშიშია არა სიკვდილი თავის თავად, რომელიც, როგორც სუბიექტური **განცდა**, არავითარს შეგნებაში არ არსებობს: პროდიკოსმა და ეპიკუროსმა კარგადა სთქვეს, რომ სანამ ჩვენ ვსცხოვრობთ, სიკვდილი არ არსებობს, ხოლო როცა ის გვიტაცებს, მაშინ აღარ ვარსებობთ. საშინელია და აუტანელი წინათგრძნობა, იდეა სიკვდილისა, ადამიანურ შეგნების პრივილეგია, რომელიც მარტოდ-მარტოც საკმაოა, რომ ჩვენ ჩვენი თავი ცხოველზე უფრო უბედურად ჩავსთვალოთ. როგორც განცდა, შეიძლება სიკვდილი სრულიადაც არ არის მტანჯველი. ძლიერ შესაძლებელიცაა, რომ უკანასკნელს წუთებში ცხოვრება უკვე სავსებით ჰკარგავს თავის ფასს და მომაკვდავის შეგნება აღარა ჰგრძნობს მწვავედ წინააღმდეგობას ყოფნასა და არყოფნას შორის. შეგნება სიკვდილის უაზრობას და სიტლანქესა მხოლოდ მაშინა ჰგრძნობს, როცა ცხოვრება ახალგაზრდაა, მდიდარი და მშვენიერი, ე. ი. სწორედ მაშინ, როცა არყოფნა მხოლოდ შესაძლებლობაში არსებობს, იდეაში. და რაც უფრო ძვირფასია ცხოვრება, მით უფრო გარდაუვალი და მწვავეა ეს წინააღმდეგობა ყოფნასა და არ ყოფნას შორის. ტვირთ მძიმეთა და მოქანცულთათვის ის ცელიანი საიდუმლო არსება ხშირად ნუგეშის მცემელია, რომელიც ტვირთს ამსუბუქებს და საუკუნო მყუდროებას და მოსვენებას ანიჭებს. თუ კაცობრიობის კულტურას მომავალში მართლაც სიბერე და მოქანცულობა მოელის, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, მაშინ მისი ბედი სრულიადაც არა ყოფილა ტრაგიკული. როგორც ბებერი მნათე ძველს სამრეკლოზე, იგი მშვიდობიანად მიიძინებს დაფლეთილს სავარძელზე და ზარს აღარავინ ჩამოჰკრავს იმის საცნობად, რომ შესწყდა ფრიად მოსაწყენი, ფრიად ერთფეროვანი და სისხლგაყინული ცხოვრება ღვთის მოსავ არსებისა.

კაცობრიობის ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის არასოდეს არ გადაიქცევა „ბებერ მნათედ“, ხოლო მისი სულიერი კულტურა „გახუნებულს სავარძლად“. მუდმივ ახალგაზრდაა კულტურა კაცობრიობისა და სიკვდილი მას ახალგაზრდობაშივე ელის. სიბერე ხვედრია მხოლოდ ფიზიკურ არსებობისა; სამაგიეროდ, მან არ იცის სიკვდილი: რაც ბერდება, ის იშლება თავის შემადგენელს ელემენტებად და ხელ ახლა უერთდება უკვდავ კოსმოსს; ფიზიკურ ენერგიის ჯამის უცვლელობაზეა ეს უკანასკნელი დაფუძნებული. სულიერმა კულტურამ კი, პირიქით, არ იცის, თუ რა არის დაბერება: მუდმივ ზრდაშია იგი, თავის ძალთა და შესაძლებლობათა დაუსრულებელს გაშლაში და ამ განვითარებას, წინსვლას, „სინტეტიურს შემოქმედებას“ არა აქვს სხვა საზღვარი, გარდა სიკვდილისა. განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ, მაგალითად, ელლინთა მიერ ნაანდერძევმა ხელოვნებამ, პოეზიამ და ფილოსოფიამ დაჰკარგოს როდისმე თავისი მუდმივი ახალგაზდური მშვენიერება, ჯანსაღობა და მიმზიდველობა? ან დაბერდეს დანტე, შექსპირი, ბეეტჰოვენი, მიქელ ანჯელო, რემბრანდტი? მუდმივ განუყრელნი მესაიდუმლოენი ადამიანობისა: შეიძლება ისინი კიდევ უფრო ძვირფასნი გახდნენ მომავალ თაობათათვის, ვიდრე ჩვენთვის არიან!

რაც უფრო წინ მიდის კაცობრიობა, მით უფრო მდიდარი და მშვენიერი ხდება სულიერი კულტურა და მით უფრო ემატება, მაშასადამე, მის დროებით განსაზღვრულობის იდეას სისასტიკე და შეურიგებლობა. ადამიანურ გენიოსობის ამ ისტორიულს და დროულს შემოქმედებაში, განსაზღვრულს სიმბოლოებში და ფორმებში თითქო მუდმივი და წარუვალი იხატება; მეცნიერებაში, ხელოვნებაში, მორალში და სარწმუნოებაში სული ჰგრძნობს უკვდავების სიახლოვეს, მაგრამ მას არ ძალუძს უზრუნველჰყოს ის თავის ნაყოფისთვის: ის რაც განსაზღვრულია წარსულში, არ შეიძლება განუსაზღვრელი იყოს მომავალში. სულიერი კულტურა კაცობრიობისა აღმოცენდა სამყაროს განვითარების ერის განსაზღვრულს საფეხურზე და აუცილებლად უნდა გაჰქრეს მეორეზე. ჩვენს გონებას არ შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ ის, რაც წარსულში ისტორიულად წარმოიშვა, უკვდავებას მოიპოვებს მომავალში: სამარადისო და უკვდავი დაუსრულებელია წარსულისკენ ისევე, როგორც მომავლისკენ. ამიტომ ვისაც კაცობრიულ კულტურის მომავალი უკვდავება სწამს, ის ლოგიკურად უსათუოდ „მუდმივ განმეორების“ იდეამდე უნდა მივიდეს, როგორც ძველი პითაგორეელები ან ფრიდრიხ ნიცშე. ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ ეს იდეა ნაყოფია დაუსაბუთებელ ოპტიმიზმისა და სავსებით ეწინააღმდეგება მეცნიერულს აზროვნებას.

რა საჭიროა თავი მოვიტყუოთ უნიადაგო ილლუზიებით, როცა სინამდვილის თვალებში შეუდრეკლად ცქერა ბევრად უფრო შეჰფერის ადამიანურს სიყვარულს ჭეშმარიტებისადმი, მის ნაცადს გამბედაობას და უშიშრობას. „დასტოვეთ ყველა იმედი თქვენ რომელნიც შემოდიხართ აქო!“ ეწერა დანტეს ჯოჯოხეთის ბჭეებზე და თუმცა კაცობრიობის ცხოვრება ჯოჯოხეთი არ არის, მაგრამ უკვდავების მაძიებელთათვის ეს სიტყვები აქაც სავსებით ჰხატვენ ჭეშმარიტებას. სიკვდილის წინათ-გრძნობა ამ ერთად-ერთ „ისტორიულ არსების“ ხვედრია, რომელსაც მსოფლიო თავის წიაღში ატარებს. შეიძლება იგი ყველაზე უბედურიცაა სულიერ ქმნილებათა შორის. „ადამიანი ერთად-ერთი არსებაა, რომელსაც ტირილის ნიჭი აქვსო“,—სთქვა ერთმა თანამედროვე ფსიხოლოგმა. ცხოველსაც შეუძლიან თავის ტანჯვასთან ერთად სხვისი ტანჯვაც იგრძნოს, იმანაც იცის თანაგრძნობა მწუხარებაში; მაგრამ ამ გრძნობაში მას არ ძალუძს აწმყოს ვიწრო ფარგლებს გასცილდეს; მხოლოდ ადამიანი მაღლდება ამ მხრივ წუთიერობაზე, ევლება შორეულს წარსულს და საიდუმლო მომავალს, მხოლოდ მას შეუძლიან თავისი ტანჯვა მსოფლიო გოდებად გარდააქციოს.

**გერონტი ქიქოძე.**

(შემდეგი იქნება)

სი, რომელმაც დააკმაყოფილა ბ-ნ ხარაზიანის სურვილი. სექტემბრიდანვე ქართული დასი სომხურთან ერთად შეუდგა კვირაში ერთი წარმოდგენის მართვას, რაიცა დღევანდლამდე ჩვიდმეტი წარმოდგენით დასრულდა და დასრულდა ისე, რომ ბ-ნმა დირექტორმა პანდურის კვრით გარეკა სცენიდან ქართველი მოთამაშენი.

ქართულმა დასმა იმუშავა სრული ოთხი თვე. ამ ხნის განმავლობაში მართლაც რომ დიდი შრომა და ენერგია იყო საჭირო ისეთ პატარა დასისათვის, როგორიც არის მუშებისაგან შემდგარი ავლაბრის ძველი სცენის მოყვარეთა დასი. იგინი ყოველ დღე, სამუშაოს გათავების შემდეგ, საღამოთი მიეშურებოდნენ ხოლმე სცენისაკენ და შესვენების მაგიერ ღამის 12 საათამდე ახლა იქ მუშაობდნენ. გარდა ამისა, ფულსაც არა ზოგავდნენ და ზოგიერთ საჭიროებისთვის თავიანთის ჯიბიდანაც-კი იღებდნენ ხოლმე, ოღონდაც სახალხო წარმოდგენების საქმე პირნათლად შესრულებულიყო. მაგრამ თეატრის გაუმაძღარი დირექტორი ბ-ნი ხარაზიანი მაინც ვერ შეურიგდა ამას, რადგან მას უფრო მეტი ოქროების ჩაზხრიალების იმედი ჰქონდა. ჰო, და აბა რა დასაჯერებელი იყო, კაცი მოიჯარადრე და სახალხო საქმე!..

მრავალჯერ იყო ისეთი შემთხვევაც ბ-ნ ხარაზიანის წყალობით, რომ წარმოდგენას ელფერი ეკარგებოდა სცენის მოუწყობლობისა გამო, როდესაც სომხურ წარმოდგენების დროს მთელი ხალხის ყურადღებას სცენის მორთულობა იპყრობდა ხოლმე. იყო შემთხვევა, რომ ვერაზე წასასვლელი მოთამაშე ქალიც-კი ღამის პირველ საათზე ფეხით გასტუმრებინოს. იყო მრავალი შემთხვევა, როს სულ თავზე კაკალს გვამტვრევდა, ქართულ წარმოდგენებიდან ბევრი არაფერი მრჩებაო და ბევრი კიდევ სხვა მიზეზები, რასაც აქ ჯერ-ჯერობით ვერ ჩამოვთვლით.

ასეთ მიზეზებისა და საყვედურებისა გამო ქართულმა დასმა ხელ-ახლა ისურვა მოლაპარაკება ხარაზიანთან, რათა ნაკლი შეესწორებინათ. ამაზე ორშაბათს, 11 იანვარს, შევიკრიბენით თეატრში და მივუგზავნეთ კაცი, როგორც ჩვეულებრივ სხვა დროს, რომ თვით ბ-ნი ხარაზიანიც დასწრებოდა მოლაპარაკებას. დაბარების უმალვე მობრძანდა ბ-ნი ხარაზიანი, მაგრამ მოსვლა და მისი უვირილი ერთი იყო. „გასწით, დამეკარგენით, მე დიდიხანია ქართული წარმოდგენები მინდოდა მომესპო, რადგან იმდენი ვერაფერი სარგებლობა ვნახე, როგორც მეგონაო“, და გავარდა კიდეც. სჯა-ბაასი მაშინვე შევსწყვიტეთ და მივატოვეთ ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის საკუთრება ბ-ნ ხარაზიანის მფლობელობის ხელში მყოფი ავლაბრის თეატრი.

ნეტავ ვიცოდეთ, რამ აიძულა ბ-ნი დირექტორი ამო-ხარაზიანი, რომ ასე უზრდელად მოგვეპყრა? თუ-კი იგი ვერაფერ სარგებლობასა ჰხედავდა ქართულ წარმოდგენებიდან, მაშ რატომ გაგვატარებინა 17 წარმოდგენა? იმედია, ამაზე თვით ბ-ნი ხარაზიანი გაგვცემს პასუხს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ თვითონ გამოვააშკარავებთ ყველა იმის-მიერ ჩადენილ სისაძაგლეს და პირ-ბადეს ავხდით მის საქციელს, რაც მან ამ ოთხი თვის განმავლობაში მიაყენა ქართულ დასს.

ავლაბრის ქართულ დრამ. ხელოვნების მოყვარეთა ამხ. გამგეობის წევრნი: **თ. ნასიძე, ი. მჭედლიშვილი, რ. სალაყაია, რ. ჯიბლაძე, ა. დავიდოვი.**

# სასამართლო

**კონდუქტორ-ვატმანის საქმე.**

13 იანვარს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფ. ტრამვაის კონდუქტორის ოჰანეს მიკირტუმოვისა.

1909 წელს, 30 იანვარს კონდუქტორს მიკირტუმოვს და ვატმანს აუყვანიათ ტრამვაის ვაგონი სიონის აღმართში და იქ გაუჩერებიათ, რადგან მეორე ვაგონი უნდა შეხვედროდათ. ამ მოლოდინის დროს კონდუქტორი და ვატმანი ვაგონიდან გადმოსულან და ლაპარაკში გართულან. რაღაცა მიზეზით ტორმოზი მოშვებულა და ვაგონი თავდაღმართზე დაშვებულა, რის გამოც მგზავრებს შეშინებიათ და დაუწყვიათ გადმოხტომა. გადმომხტარა და ანტონინა სვიტიჩიც, რომელიც დაშავებულა. ამის გამო კონდუქტორიც და ვატმანიც პასუხის გებაში მიუციათ. სასამართლომ ამ დღეს მხოლოდ კონდუქტორის ოჰანეზ მიკირტუმოვის საქმე განიხილა, დამნაშავედ იცნო იგი და ორი თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

**თავდასხმა.**

ამავე დღეს ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საჩივარი რომანოზ მაღლაკელიძისა.

1908 წელს 11 სექტემბერს სოფ. კალობანში რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დასცემია ზურაბ ზამთარაძეს, წაურთმევიათ ქამარი, თოფი და ოცი მანეთი ფულად, გაუცარცვამთ აგრეთვე იქვე შემთხვევით მყოფი მიხეილ ზამთარაძე. დაზარალებულთ უცვნიათ რომანოზ მაღლაკელაძე, მაგრამ მაღლაკელიძე არ გამოტყდარა.

ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1909 წელს აგვისტოში განუხილავს, დამნაშავედ უცვნია რომანოზ მაღლაკელიძე და 8 წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯნია, მაგრამ მაღლაკელიძეს ტფ. სამოსამართლო პალატაში გადმოუტანია საქმე.

პალატაში ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი გ. გვაზავა. პალატამ რომანოზ მაღლაკელიძე გაამართლა.

# უცხოეთი

**არჩევნები ინგლისში.**

არჩევნები ჯერ არ გათავებულა. „პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს“ ცნობით, 14 იანვრის დილის 3 საათამდე აურჩევიათ: 221 უნიონისტი, 201 ლიბერალი, 34 მუშა და 69 ნაციონალისტი, მაშასადამე სულ 525 დეპუტატი აურჩევიათ, ხოლო 145 დეპუტატი კიდევ უნდა აირჩიონ.

ამ ცნობიდან სჩანს, რომ ლიბერალების საქმე 10 იანვრის შემდეგ ცოტათი გამოკეთებულა; 10 იანვრამდე არჩეულ უნიონისტების რიცხვი უდრი და არჩეულ ლიბერალებისა და მუშების რიცხვს ერთად, ეხლა-კი ლიბერალების და მუშების რიცხვი 14-ით აჭარბებს უნიონისტების რიცხვს.

**ჩემბერლენის წერილი.**

ინგლისელ პროტექციონისტების განთქმულმა მეთაურმა ჯოზეფ ჩემბერლენმა შემდეგის წერილით მიჰმართა თავის ამომრჩევლებს:

„სხვა ერები ჩვენზე სწრაფად მრავლდებიან და მდიდრდებიან. ჩვენ თან და თან სხვა ერებს ვუთმობთ ჩვენს ადგილს ქვეყნიერობაზე. ის, რასაც ეხლა თავისუფალ ვაჭრობას ეძახიან, როდიდა ჰნიშნავს თანასწორ პირობებში ცილაობას. ჩვენ მიერ განზრახული ტარიფი (ბაჟები) სულაც არ მოგიმატებთ გადასახადებს, პირიქით იგი სარგებლობას მოუტანს თქვენს ვაჭრობას, თქვენს საქმეებს, განავითარებს ჩვენს მრეწველობას, ერთის სიტყვით ყველაფერს, რასაც ჩვენ მოვალენი ვართ პატრონობა გავუწიოთ. მოგმართავთ თქვენ უდიდეს იმპერიის მოქალაქეებს და გთხოვთ შეიგნოთ, რომ ეს საერთა-შორისო მდგომარეობა—უპირატესობა დიდს პასუხის-გებას გვაკისრებთ. მრწამს, რომ მხოლოდ ის პოლიტიკა, რომელიც აერთებს მთელს ჩვენს იმპერიას, უზრუნველ-ჰყოფს ჩვენს შინაგან კეთილ-დღეობას.

ასეთი მარჯვე შემთხვევა აღარ შეგხვდებათ. გამარჯვება პოლიტიკაში იგივეა, რაც გამარჯვება ომში. სიმამაცეს გამარჯვება მოსდევს, სიმხდალეს—დამარცხება.. შეცდომა კანონმდებლობაში შეიძლება გასწორდეს, ხოლო საიმპერიო პოლიტიკაში შეცდომის გასწორება შეუძლებელია. თუ ეხლანდელი თაობა გაამაგრებს ჩვენის დიდებულ სახელმწიფოს საფუძვლებს, იგი მოიხვეჭს საუკუნო სახელს, ხოლო თუ დაასუსტებს,—საუკუნო სირცხვილს. თითოეულ პირთა ხასიათი, ისე როგორც ერთის ხასიათი, დამოკიდებულია მის იდეალის სიდიადეზე. ზნეობრივად მაღალმა და დიდებულმა ერმა თავის-თავი უნდა ანაცვალოს თავის მოდგმის მომავალს. ინგლისი უახალშენებოდ! ეს ის ინგლისი როდი-და იქნება, რომელიც ჩვენ გვიყვარს. თუ ის თანაგრძნობის კავშირი, რომელიც თან და თან გვაერთებს ჩვენს ახალშენებთან, შესუსტდება, ან სულ გასწორდება, მაშინ ჩვენი ინგლისი დაჰკარგავს იმ ადგილს, რომელიც მას მთელი საუკუნეები ეჭირა. იგი აღარ იქნება დიდი სახელმწიფო და გარდაიქცევა მეხუთე ხარისხის სახელმწიფოდ და მხოლოდ სხვისა წყალობის შემაცქერალი გახდება. ჯერ კიდევ დრო არაა დაკარგული, ჯერ კიდევ შეგვიძლიან ჩვენი ვაჭრობა ჩვენსავე ხალხს შევანარჩუნოთ. ჩვენ შეგვიძლიან ჩვენი ვაჭრობა გავაფართოვოთ ჩვენს საუკეთესო ბაზრებში, ჩვენს საუკეთესო მოკავშირეებთან; ჩვენ დიდ ხეირს მივცემთ მათ, ხოლო სამაგიეროდ მათგანაც დიდ ხეირს შევიძენთ.

მე ყოველ წამს ვხედავ თვალ-წინ ინგლისის კავშირს თავის ახალშენებთან, ამ თავისუფალ ერების თავისუფალ კავშირს, რომელიც დაიცავს ინგლისის მოდგმის დიდებულ ტრადიციებს“.

**გუსტავ ჰერვეს სამართალში მიცემა.**

პარიზის ბრალმდებელმა სამართალში მისცა ცნობილი ფრანგი ანტიმილიტარისტი გუსტავ ჰერვე, რომელსაც თავის გაზ. „გერ სოციალ“-ში („სოციალური ომი“), სხვათა შორის, შემდეგი დაუწერა ერთის პოლიციელის მოკვლის თაობაზე:

„მგონია, რომ ამ მკვლელმა მამაცობისა და მხნეობის კარგი გაკვეთილი მისცა ჩვენი დროის დაძაბუნებულ, მხდალ და სნეულ ხალხს, ხოლო ჩვენ რევოლიუციონერებსაც კარგი მაგალითი მოგვცა“.

ბრალმდებელმა ჰერვეს გარდა გაზ. „გერ სოციალ“-ის გამომცემელიც მისცა სამართალში. ორივეს ჰბრალდებათ წაქეზება საბოროტო-მოქმედოდ და მკვლელობის ქება. ამ დანაშაულობისთვის საფრანგეთის კანონი სჯის საპყრობილეში დაპატიმრებით 1-დან 5 წლამდე და ჯარიმით 100-დან 3,000 ფრანკამდე. ამ საქმეს გაარჩევს ნაფიცთა სასამართლო.

**გერმანელ ლიბერალების შეერთება.**

გერმანელი ლიბერალები აქამდე სამ პარტიად იყოფოდნენ. თავისუფალ მოაზრეთა კავშირი, სამხრეთ გერმანიის სახალხო პარტია და თავისუფალ მოაზრეთა სახალხო პარტია. ამას წინად თავისუფალ მოაზრეთა კავშირმა და სამხრეთ გერმანიის სახალხო პარტიამ დაადგინა—ყველა შემარცხენე ლიბერალი პარტიები გერმანიის პარლამენტში შევუერთდეთო. ეხლა ასევე დაუდგენია თავისუფალ მოაზრეთა სახალხო პარტიასაც. ამნაირად ეს სამი ჯგუფი ამ მოკლე ხანში ერთ პარტიად შეერთდება საზოგადო პროგრამით. ახალ პარტიის ოფიციალური დამფუძნებელი კრება მოხდება 6 მარტს (ახალის სტილით) ბერლინში. გერმანული ლიბერალური გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს, რომ ახალ პარტიას დაერქმევა „პროგრესის პარტია“. ამ პარტიას რეიხსტაგში ეყოლება თითქმის 50 დეპუტატი.

**პრუსიის შემნახველი კასსები.**

ამ დღეებში გამოაცხადეს წლიური ანგარიში პრუსიის სახელმწიფო შემნახველ კასებისა. ანგარიშიდან სჩანს, რომ წარსულ 1909 წელს პრუსიის შემნახველ კასებში ხალხს სულ შეტანილი ჰქონია 5 მილიარდი მანეთი; მარტო წარსულ წელს შეუტანიათ 220 მილიონი მანეთი. პრუსიის ყოველ 3 მოქალაქეზე მოდის კასის ერთი წიგნაკი, ამიტომ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ესეთი წიგნაკი ჰქონია ყოველ პრუსიელ ოჯახს, რადგან ოჯახი საშუალოდ ხუთის სულისაგან მაინც შესდგება. აქედან ცხადად სჩანს, რომ პრუსიელები ძლიერ ყაირათიანი ხალხი ყოფილან და კარგი შემოსავალიც ჰქონიათ, თორემ რიგიანი შემოსავალი რომ არა ჰქონდეს, „შავის დღისთვისაც“ ვერაფერს გადასდებდნენ.

# რუსეთი

**გასაკვირველი ისტორია.** „რეჩს“ სმოლენსკიდან ატყობინებენ: რევიზიას უშვრებიან სასულიერო სასწავლებელს. რევიზორმა მენშიკოვმა სასწავლებელში ბევრი „უკუღმართობა“ აღმოაჩინა, მაგრამ მასაც ბევრი „უკუღმართობა“ დაჰმართეს. რევიზიის მესამე დღესვე ნაშუადღევის 2 საათზედ მენშიკოვს ეწვია სამი უცნობი. მათის სიტყვით, საიდუმლო პოლიციის აგენტები და მენშიკოვის ბინა გასჩხრიკეს. უცნობებმა მენშიკოვს წაართვეს ყველა საბუთის ქაღალდები, ბოლოში მოითხოვეს „შეწუხებისთვის“ და არხეინად წავიდნენ. მენშიკოვს ესეც არ აკმარეს და ყოველ დღე წერილებს უგზავნიან, აქედან დაიკარგე თორემ წუთისოფელს გამოგასალმებთო. ამ დღეებში მენშიკოვი ქვით მძიმედ დასჭრეს კისერში. საქმე იქამდის მივიდა, რომ მენშიკოვმა გუბერნატორს მიმართა და დახმარება სთხოვაო!!

**ორნაირი დასჯა.** კიევის სამოსამართლო პალატამ ამ დღეებში გაარჩია სისინის საქმე. სამოსამართლო პალატამ სისინს სამი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. ამავე დროს გამოირკვა, რომ სისინი ადმინისტრატიულად ხუთი წლით იაკუტსკის ოლქში ყოფილა გადასახლებული. ამის გამო სამოსამართლო პალატა იუსტიციის მინისტრს შეჰკითხებია, როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაშიო. მინისტრს უპასუხნია, სისინი დაუყოვნებლივ იაკუტის ოლქში გაგზავნეთ სასჯელის მოსახდელად და შემდეგ სამი წლით სატუსაღოში ჩასვითო!!

**„ჭეშმარიტი რუსი“ ბერი.** მკითხველს ეხსომება, რომ სტარორუსის მონასტრის (ნოვგოროდის გუბერნია) ბერებმა მთავარ-ეპისკოპოს გურიისთან იჩივლეს, მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ფეოდოსი გარყვნილ ცხოვრებას მისდევსო. „რეჩის“ სიტყვით, მთავარ-ეპისკოპოსის ბრძანებით უკვე გამოუძიებიათ არქიმანდრიტ ფეოდოსის საქმე. გამოძიებას დაუმტკიცებია, რომ ფეოდოსის გაუფლანგავს მონასტრის ფულები და მღვდლის ფილონისგან თავის „საყვარლისათვის“ შეუკერავს იუბკები და სხ. ტანისამოსი. ქალები არქიმანდრიტთან ყოველ დღე დაიარებოდნენ თურმე, რიგ-რიგობით, ვითომ მასაჟისტკები, ნამდვილად კი... ამას გარდა, არქიმანდრიტს თავის მორჩილისათვის ხელწერილი ჩამოურთმევია, რომ ქალები მასთან დაიარებოდნენ და არა არქიმანდრიტთან. თუ ამას ზედ იმას დავუმატებთ, რომ არქიმანდრიტი ძალიან პატივიმსცემელი ყოფილა ბახუსისა და ყოველ დღე კარგა ბლომა არაყს „სპობდა“, მაშინ ნათლად დავინახავთ მის „ასკეტობას“. გასაკვირველი ის არის, რომ ყველა ამის შემდეგ არქიმანდრიტ ფეოდოსისათვის მარტო შენიშვნა მიუციათ და სხვა მონასტერში გადაუყვანიათ! ფეოდოსი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ცნობილი წევრია.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, მოსკოვში 3, იურიევში 3, რიგაში 1, უფაში 1 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: უფაში 1, ხარკოვში 2, პეტერბურგში 1, ვარშავში 1 კაცი.


# განცხადებანი

**იაფი შემოწმებული საათი**

შეიძლება იყიდოთ მხოლოდ

**ა. გოლდ-შტეინთან**

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ვერცხლის და ოქროს** ნივთები სულ იაფად.



(10—ხალ.—10)

„სორაპნის“ ამხ. გამოცემა.

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად**

ნ. ბარათაშვილის

**სრული ლექსთა კრებული**

**ბიოგრაფიულის ცნობებით.**

ფასი 10 კაპ.

(5—6.—5)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**ჯეჯილი**

**ოცდა პირველი წელიწადი**

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.**

გამოდის თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი „ჯეჯილი“** ტფილისში ღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** წიგნის მაღაზიას **„იმერეთი“-ს** და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

(5—3) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

# გაფრთხილება

რადგან **სპერმინი-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმატინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო“. ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: საათფთიაქრო და საპარფიუმერიო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამავრცელებელნი რეკლამებში ჰბაძვენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეებად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს ● **სპერმინ-პელს** ● და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა. ფლაკონი** ღირს 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ 290 Органотерапевтическій институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.

(Метцль и К-о. № 177994). (8—6.—2)

# სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო-უგურული“ ქუთაისში

● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—16)

# პროვოდნიკის



1897 წ.



1908 წ.

ФАБРИЧ. КЛЕЙМО ПРОВОДНИКЪ РИГА

1888

# ამხანაგობა

**რიგაში**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნაღდ და ვალოგით: ●

**რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,**

**რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,**

**რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,**

**იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,**

**რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,**

**რეზინის სათამაშოები და ბურთები,**

**რეზინის საგალანტერეინო საქონელი,**

**საშლელი რეზინი „სპილოს“ მარკისას**


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აგლაძე.**